



ყოველ კვირეული ორგანო

№ 3

კვირა 24 იანვრისთვის 1917 წ.

№ 3

### სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქის არჩევა.

საქართველოს საეკლესიო კრებაზე მიმდინარე წლის 17 სექტემბერს მოხდა არჩევა სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქისა. კანდიდატებად აღნიშნულ ხარისხზე იქნებოდა სასულიერო იერარქი მალაქა ყოვლად უსამღვდელოესი ლეონიდე, მიტროპოლიტი ტფილისისა, და ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი კირიონი. არჩევნები მოხდა ფარული კენჭისყრით. ხმების დათვლის შედეგად აღმოჩნდა, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიუღია ოთხას ორმოცდა-რვა (448) დელეგატს. აქედან ყოვლად-სამღვდელო კირიონმა მიიღო ორას ორმოცდა-ორი (242) ამომრჩეველი ხმა და ორას ექვსი (206) — არა-ამომრჩეველი ხმა; მალაქა ყოვლად უსამღვდელოესმა ლეონიდემ მიიღო ამომრჩეველი ხმა ორას ოცდა-ათი (230), და არა-ამომრჩეველი — ორას თერამეტი (218). ამნაირად ორივე კანდიდატი გათეთრდა, ხოლო მეტი ამომრჩეველი ხმა მიიღო ყოვლად სამღვდელო კირიონმა. სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქად კრების მიერ არჩეულ და დაბეჭდილებულ იქნა ეპისკოპოსი კირიონი.

ბიოგრაფია მათი უწმიდესობის კათოლიკოზ-პატრიარქის კირიონისა მოთავსებულ იქნება ჟურნალის შემდეგ ნომერში.

### სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება.

კვლის წმინდი წმიდისა და ღმრთივ-გან-გაგნობილისა კრებისაი, რომელი შემო-კრება ძალაქსა ტფილისს ჩვიფ წელსა, საქ-დამბრისა ც დღესა.

შემოკრებულნი სულისა მიერ წმიდისა და შედგომილნი მოძღვრებასა უფლისა ჩუენისა და მაცხოვრისა იესუ ქრისტესსა, წმიდათა მისთა მოციქულთა და მოწაფეთა, ღირსთა და ღმერთშემოსილთა მამათა, წმიდათა და ღმრთივ-განბრძნობილთა მოფლიოთა და აღვილობით-თა კრებათა, ვლადღებთ და ვიტყვიით:

„გურწამს ერთი ღმერთი მამა, ყოვლისა

მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქუეყანისა, ხილულთა ყოველთა და არახილულთა. და ერთი უფალი იესუ ქრისტე, ძე ღმრთისა მხოლოდშობილი, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა. ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღმრთისაგან ჭეშმარიტისა შობილი და არაქმნილი, თანაარსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა, რომელი ჩუენთვის კაცთათვის და ჩუენისა ცხოვრებისათვის გარდამოხდა ზეცით და ხორცი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა და განკაცნა. და ჯუარს ეცუა ჩუენთვის პონტო-ელისა პილატეს ზე და ივნო და დაეფლა. და აღდგა მესამესა დღესა მსგავსად წერილისა. და ამაღლდა ზეცად და მჯდომარე არს მარჯუ-

საქართველო  
საეკლესიო ცენტრი

ნით მამისა. და კუალად მომავლ არს დიდებით განსჯად ცხოველთა და მკუდართა, რომლისა სუფევისა არა არს დასასრულ. და სული წმიდა, უფალი და ცხოველსმყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს, მამისა თანა და ძისა თანა თაყუანის იცემების და იდიდების, რომელი იტყოდა წინაისწარმეტყუელთა მიერ. ერთი წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია. აღვიარებთ ერთსა ნათლისღებასა მოსატყვევებლად ცოდვათა. მოველით აღდგომასა მკუდრებით და ცხოვრებასა მერმისა საუკუნისასა. ამინ“.

ხოლო იქმნა შეკრებაი ჩუენი არა თუ ბიწისათვის რაისამე ქართველთა სარწმუნოებისა, ნუ იყოფინ ესე,—არა გეცრუენთ შენ სიწმიდით მშობელო ჩუენო კათოლიკე ეკლესიაო, არცა განგცეთ შენ სიქადულო ჩუენო მართლმადიდებლობაო, რომლისა არცა განმცემელ ქმნილ ვართ,—არამედ სხუათა საეკლესიოთა ძიებათათვის.

დასაწყისსა მეთაბრამეტისა საუკუნისასა დაყენებულ იქმნა თვითთავობაი ეკლესიისა ჩუენისაი, წარიტაცეს ჩუენგან მამაი მაკურთხეველი და დაგუამორჩილეს ჩუენ საყდარსა უცხოსა. ამისა გამო შეირყა ტრაპეზი ჩუენი და მოხრბტენ სავანენი ჩუენნი; „დაემკვიდრნენ მათ შინა, თქუმულისაებრ ესაია წინაისწარმეტყუელისა, მფრინველნი და ძღარბნი, ძვრანი და ყორანნი და ვიროკენტავროსნი; აღმოცენდნენ მათ შინა საეკლენი ხენი და იქმნენ იგნი საყოფელ სირინოსთა და ეხოებ სირაქლემა“ (XXXIV, 11—13). გარნა არა მოკუდა ერი ქართველი, რომელი ფიცითა წარსთქუ მდა: „უკუეთუ დაგივიწყო შენ, სიონ, დავიწყებულ იყავნ მარჯუენს ჩემი“. მრავალთა ღირსთა მწემსთა და მწყემსმთავართა სული თვისი დასდევს ზრუნვასა შინა და ვაებასა აღმენებისა და კეთილწარმატებისათვის ეკლესიისა ჩუენისა, მრავალნი მოაქამომდე ილუწიან, ვითარცა მწყემსნი კეთილნი; და აჰა, აღმობრწყინდა „დღს, რომელ ქმნა უფალმან, ვიხარებდეთ და ვიშუებდეთ მას შინა“; აღმობრწყინდა დღს აღდგომისა ჩუენისაი და ჩუენ ვიქმენით თვისად ეკლესიისა ჩუენისა. შემოვკრებით დღეს, რათა განვაბტყიკოთ გუამი ეკლესიისა ჩუენისაი, შთავბეროთ მას შინა სული ცხოველი, შემოვზღუდოთ იგი მოძღურებითა მართლისა სარწმუნოებისაითა და შევემოსოთ იგი კურთითა ჯეროვანისა მართვა-გამგეობისაითა. ესე არს ზრუნვაი ჩუენი, ესე არს საქმს ჩუენი, რომელსა შინა წარგვიმართოს ჩუენ სულმან ღმრთისაჰან მეოხებითა წმიდათა და ღმერთშემოსილთა მამათა და მოღუაწეთა ივერიის ეკლესიისაითა.

სიხარულითა და გულითა მადლიერებითა შევედროთ უფალსა კრებული ესე ღმრთივგანბრძნობილი და ვთქუათ:

კეთილად მსახურისა და ღმრთივდაცული-სა, ემბახსა შინა მართლმადიდებლობისა შობილისა, ქართველ ერისა მრავალმცა არიან წელნი.

ყოვლად ღირსისა მამისა ჩუენისა, სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქის მოსაყდრის, ტფილელ მიტროპოლიტის ღეონილისა, მრავალმცა არიან წელნი.

ყოვლად სამღუდელთა მღუდელთმთავართა, (სახელი მუნ დასწრებულთა) პატრიოსანთა მღუდელთა და ღირსთა დიაკონთა, ქრისტეს მოყუართა მონაზონთა და ღმრთისმოსავისა მორწმუნისა ერისა, რომელნი შემოკრბენ ღმრთივ განბრძნობილსა ამას კრებასა, მრავალმცა არიან წელნი.

დღესა ამას სიხარულისა ჩუენისასა მოვიხსენოთ ჟამნიცა წარსულნი და ხმითა ღმობიერთა ვთქუათ:

კეთილად მსახურთა და მართლმადიდებლობით აღსრულებულთა სანატრელთა მეფეთა ჩუენთა საუკუნომცა არს ხსენებაი და კურთხევაი მათი.

სანატრელთა და წმიდათა კათოლიკოზთა და ნეტართა მღუდელთმთავართა და მღუდელთა ჩუენთა საუკუნომცა არს ხსენებაი და კურთხევაი მათი.

საუკუნოისა ნეტარებისა ღირსთა და ეკლესიისათვის ჩუენისა ღუაწლომოსილთა მამათა: კათოლიკოზისა ანტონისა, მიტროპოლიტთა დოსიფოს და ეფთვიმისა, არქიმანდრიტთა გრიგოლ და ზაქარიასი, მღუდელმონაზონისა ფილადელფოსისა და სხუათა ჰირნახულთა მამათა საუკუნომცა არს ხსენებაი და კურთხევაი მათი.


დაუსრულებელისა განსუენებისა მკვიდრთა მამათა და ძმათა ჩუენთა, რომელნი მოელოდენ დღესა ამას სიხარულისასა, საუკუნომცა არს ხსენებაი და კურთხევაი მათი.

თავისუფლებისთვის ერისა თავდადებულთა მამათა, ძმათა და დათა ჩუენთა საუკუნომცა არს ხსენებაი და კურთხევაი მათი.

„ჯერ უჩნდა სულსა წმიდასა და ჩუენცა“ გამოთქუემად განსაზღურებათა ამათ ქუემოწერილთა, ერთსულოვნად და თანხობით შეწყნარებულთა.

\* \*

მუხლი ჰირველი ქეკელის-წერისისი:  
1. შეფიცვა ერისა: „ჩუენ, შვილნი და წარ-



მომადგენელი სრულიად საქართველოსანი, ერთი და ერთი გულითა აღვიარებთ მწყემსად და მსახურად წმიდისა ივერიის ეკლესიისა მღუდელთათაგანთა, მღუდელთა და დიაკონთა ქართველთა სანათესავოსათა, რომელნი შესწირვენ წმიდასა და უსისხლოსა მსხუერპლსა ცხოვრებისათვის ერისა და კეთილწარმატებისათვის ეკლესიისა ჩუენისა. მივიჩნევთ მათ მამად და ფიცსა ვსდებთ მორჩილებად სულიერსა მათსა განმგებლობასა და მართლმკუთხედობასა სიტყვისა ქეშმარიტებისასა.

აქსიოს, აქსიოს, აქსიოს!\*

ზასუხი სამღუდელოებისა: „ჩუენ მღუდელთათაგანნი, მღუდელნი და დიაკონნი ქართველთა სანათესავოსანი და ჩუენთანავე წარმომავლინებელნიცა ჩუენნი, სურვილისაებრ და აღრჩევისა ქართველისა ერისა, ვაცხადებთ თავსა ჩუენსა მწყემსად და მწედ წმიდისა ივერიის ეკლესიისა. აღვსაქუთ და ფიცსა ვსდებთ მსახურებად მისდა ყოვლითა სულითა, ყოვლითა გულითა და ყოვლითა გონებითა ჩუენითა ვიდრე უკანასკნელად აღმოაფშვინვადმდე ჩუენდა. ამინ, ამინ, ამინ!“

და შეუდგებიან ამასა სხუანიცა განსახილურებანი.

**სამკლესიო კრებვის ბარიგება.**

პირველი კრება იქნება 8 სექტემბერს კათალიკოზის მოსაყდრის თავმჯდომარეობით.

შუნი შუნი. კრების მდივნების არჩევამდე მდივნის თანამდებობას დროებით ასრულებს საქართველოს ეკლესიის დრ. მმართველობის მდივანი.

2. თავმჯდომარის წინადადებით კრება ირჩევს პრეზიდიუმს: 6 თავმჯდომარე სამხანაგს და 6 მდივანს.

შუნი შუნი. ა) თავმჯდომარის ამხანაგები პირველ კრების შემდეგ თავმჯდომარეობენ მორიგეობით. შრომა პრეზიდიუმში განაწილდება ურთიერთ შორის შეთანხმებით. თავმჯდომარის ერთი ამხანაგი და ერთი მდივანი ითვლებიან უფროს ამხანაგად და უფროს მდივანად.

3. პრეზიდიუმს ს არჩევს წესს გადასწყვეტს. თვით საეკლესიო კრება.

4. კრება ირჩევს 5 წევრისაგან შემდგარს სამანდატო კომისიას, რომელიც მეორე კრებაზედვე მოახსენებს მანდატების განხილვის შედეგს.

5. თავმჯდომარე აცხადებს დრ. მმართველობის მიერ დამტკიცებულ საგნების სიას; კრება განიხილავს საბოლოოდ შემუშავებულ სიას და ამტკიცებს; შემდეგ განსახილველ საგ-

ნების წარდგენა აღკრძალულია. საგნების სიას შეცვლა შეიძლება მხოლოდ პრეზიდიუმის თანხმობით.

6. თავმჯდომარე ჰხელმძღვანელობს კრების წეს-რიგს, აძლევს ორატორებს თავის დროზედ სიტყვას, მიჰმართავს შენიშვნით, აწყვეტინებს, ან უსპობს სიტყვას და თუ საჭიროდ დაინახა, შუამდგომლობს კრების წინაშე, რათა ორატორს ნება არ ჰქონდეს, დაესწროს რამდენსამე კრებას. თავმჯდომარე აძლევს კრებას წინადადებას შესწყვიტოს ორატორთა საწერ-სალოაპარაკოდ და სცნოს კამათი დისრულებულად. ამასთანავე განუმარტავს კრებას კამათის შინაარსს, და წარუდგენს კრებას გადასაწყვეტად მკაფიოდ გამოთქმულ წინადადებას და უყრის კენჭს იმ წესით, რომელსაც საჭიროდ დაინახავს. თუ კრების წევრი უკმაყოფილებას გამოსთქვამს კენჭის ყრის წესისათვის, იმ შემთხვევაში თავმჯდომარე ვალდებულია შეეკითხოს კრებას და უკამათოდ მიიღოს კრების დადგენილება.

7. მდივანთა კრებული ერთმანერთში შეთანხმებით ადგენს კრების ოქმებს და თავმჯდომარის წინადადებით მოახსენებს კრებას. კრების მიერ დამტკიცების შემდეგ ოქმს ხელს აწერს პრეზიდიუმი.

8. კრების წევრი ვალდებულია იქონიოს კრების დასრულებამდის კრებაზედ შესასვლელი ბარათი, რომლის სხვისთვის გადაცემა აღკრძალულია.

9. წევრი ემორჩილება თავმჯდომარისა და კრების განკარგულებას, იცავს წესიერებას, იღებს მონაწილეობას თავმჯდომარის ნებართვით საქმეთა განხილვასა და კენჭის ყრაში. ერთსა და იმავე საგნის შესახებ ორატორს ნება აქვს ორჯერ ილაპარაკოს (პირველად—ათი წუთი, მეორედ—ხუთი წუთი), ხოლო მრამხსენებელს ნება ეძლევა ილაპარაკოს მესამეჯერ კამათის დასრულების შემდეგაც.

10. კრებაზედ მოხსენების და აღტაცების ან დაწუნების გამოხატვა აღკრძალულია.

11. ყველა საგნის განხილვის შემდეგ კრება ირჩევს დაბეჭდილის ბარათებით სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქს. ამორჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც მეტს ხმას მიიღებს. თუ თანასწორი ხმა მიიღეს—კენჭის ყრა ხელმეორედ იქნება.

12. კათალიკოზის არჩევის შემდეგ პრეზიდიუმი აცხადებს საეკლესიო კრების დასრულებას.



### კურთხევაი და საყდრად აღმშენებაი კათოლიკოზისაი.

უწყებად ჯერ არს, ვითარმედ კათოლიკოზად აღრჩეული, უკუეთუ მღუდელი ანუ ერისაგანი იყოს, პირველად, წესისაგებრ, ეპისკოპოზად უნდა ეკურთხოს; ხოლო უკუეთუ ეპისკოპოზი იყოს, აღესრულების მას ზედა წესი კათოლიკოზად კურთხევისაი.

კათოლიკოზად აღრჩეული წარემართების კათოლიკე ეკლესიად; კარის ბჭესა შინა შეემთხუევიან მას აღნთებულთა სანთლებითა მღუდელთმთავარნი, მოსილნი მანტიითა, უკუერთხოდ, მღუდელნი, დიაკონნი დიკირ-ტრიკირითა, კერეონითა და საცეცხლურებითა და მგალობელნი. კათოლიკოზად აღრჩეულს შეჰმოსენ მანტიას, ოლარს და მცირესა ომფორსა; მგალობელნი ჰგალობენ „დიხს ანს ჭეშმარიტად“, გინა, თუ დღესასწაული დაემთხვიოს, ძლისპირსა მეცბრისა გალობისასა; აღრჩეული აღვალს ტაძრად თანამედგომითა ყოველთა თანამწირველთათა (შეისწავე, ვითარმედ კურთხნი ხელთა არა უპყრიეს) და იტყვის მღუმრიად: „შევიდე სანჯსა შეხსა“; წარიკითხვიან, წესისაგებრ, ლოცვანი აღსღვისანი და იქმნების შემთხუევი წმიდათა ხატთაი. შემდგომად ლოცვისა— „უფალო, ვარდამაგვიხე ხელი შენი“, აღრჩეული აღვალს საკურთხეველად, შეემთხუევის წმიდასა ტრაპეზსა და იტყვის: „შეგვიწაჯენ ჩუენ, დმერთო, დიღითა წყალობითა შეხითა, გვედრებით ისინე და შეგვიწაჯენ“; მგალობელნი: „უფალო შეგვიწაჯენ“, სამგზის. „შერმეტა გვედრებით უწმიდესთა და უნეტარესთა ზატრარქთა, უფალოსა მღუდელთა ეპისკოპოზთა, ზატრარქთა მღუდელთა, ქრისტეს მიერ დიკონთა და უფალოსა მარტომადიკებულთა ქრისტესუნთათვის“; „უფალო შეგვიწაჯენ“, სამგზის. ასამაღლებელი: „რამეთუ მწაჯენ და კაცთ-მოყუარე დმერთი ხარ...“ ამინ, სიბრძნით, მოხუდენ, და განტევებაი სულის წმიდის მოსვლის კვირიკისაი: „რამეჟმან სხითა ცეცხლისა ენათათა ზეცით ვარდამოყვინა უფალო წმიდაი სული წმიდათა მწაფეთა და მრციქულთა თვისთა, ქრისტემან ჭეშმარიტმან დმერთმან ჩუენმან....“

აღრჩეული სდგას აღსაღლის კართა შინა, მოქცეული ერისა მიმართ; პროტოდიაკონი, მდგომარე ამბიონის ქუემო, მიჰმართავს აღრჩეულსა და ეტყვის მაღლითა ხმითა: „სამღუდელოაან დასმან წმიდათა მღუდელთმთავართა და განკრძალულთა კრებულთამან და ყოველთა მორწმუნეთა საქართველოისათა ერთითა ნებითა, ერთითა გულითა და ერთითა პირითა აღარჩიეს ღირსებაი შენი, მთავარებითა ღმრთი-

საითა, მთავარებისკოპოზად მცხეთისა და მთაწმიდისა ლიად საქართველოის კათოლიკოზ პატრიარქად და მოგიწვევენ შენ წმიდასა ამას კათოლიკე საყდარსა (ხელით უჩვენებს ტაძარსა შინა მდგომსა საყდარსა); აღვედ, უწმიდესო მეუფეო, ხარისხთა ზედა მისთა და ამკობდე მას ვიდრე უკუნაისკენლად აღმოუშვინვადმდე შენსა, განადიდე იგი, ვითარცა ნეტართა კირიონ, არსენ, მელქისედეკ, იოანე, ნიკოლოზ, დომენტი, ანტონი და სხუათა, უწინარეს შენსა მყოფთა, დიდებულთა კათოლიკოზთა; დამწყსე ზეგარდამო შენდა რწმუნებული ერი გზასა ზედა საუკუნოსა ცხოვრებისასა და საძოვართა სახარებისა მაღლისათა. იყავნ, იყავნ!“

სამღუდელონი და მგალობელნი იტყვიან: „აქსიოს, აქსიოს, აქსიოს“ სამგზის. ხოლო აღრჩეული იტყვის: „ქეშმარიტად საღმრთო, დიდ და აღმატებულ არს წმიდაი ესე მსახურებაი, რომლისაჲვის, თქუმულისაგებრ წმიდისა ოქროპირისა, საქირო არს ძალი და ბუნებაი ანგელოზთაი; გარნა, მაღლითა და სასოებითა კაცთ-მოყუარისა მეუფისაითა, მივიღებ აღრჩევასა ქრისტეს მორწმუნისა ერისასა და, მოსრული წინაშე ღმრთივ აღმაღლებულისა ამის სუეტისაცხოველისა, აღთქუმასა ვჰყოფ საღმრთოთა წესთა და სარწმუნოებისა დაცვისათვის, ერთგულებისათვის ამა კათოლიკე ეკლესიისა და თავისა და სულისა დადებისათვის ვიდრე სისხლთა დათხევადმდე ერისა ჩემისა კეთილდღეობისათვის.“

შემდგომად ამისა მივალს უპირატესი მღუდელთმთავარი, მიართმევს მას კურთხესა, ემთხუევა მარჯუენესა მისსა და ეტყვის:

„შიიდე კურთხეი ესე, სახე მოსწეს კურთხისაი, რათა, ვითარცა მან განხარ ზღუაი მექმუელი და აღიფხანა ძუელი ისრასელი ქუეყანად აღთქუმისა, ეგრესთუე შეხცა, განძლიერებულმან და მასხედა დაერდნობილმან, განხარ ზღუაი მოფული დეფეგუემისა და ძღო შეეყანად სხლის ისრასლისა ქუეყანასა საუკუნისა აღთქუმისას. განმსდი და განძლიერდი, ვინაითგან სიტყუა გიძს მიცემად დმერთსა ჩუენსა და მწეუმსთმავარსა იესუ ქრისტესს.“ აღრჩეული მიიღებს კურთხესა, ხოლო სამღუდელონი და მგალობელნი იტყვიან; „აქსიოს, აქსიოს, აქსიოს“ სამგზის. აღრჩეული წარემართების და აღვალს კათედრასა ზედა და ჯუარსა სწერს მარჯუენითა ხელითა ერსა ზედა, ხოლო მგალობელნი ტკბილითა ხმითა იტყვიან: „ტონ დესპოტენ კე არქიერეა იმან კირიე ფილტუ ისნაფა ეტი დესპოტა.“ მღუდელთმთავარნი და თანამწირველნი შეემთხუევიან მარჯუენესა მისსა და აღვლენ საკურთხეველად, სადაც შეიმოსებიან; ხოლო კათოლიკოზად აღრჩეული



შეიმოსების წესისაებრ კათედრასა ზედა, და იქნების ჟამობაი და შედეგი წმიდისა ლიტურგიისაი. ჟამსა მცირისა გამოვლისასა, ოდეს კრებული დაიკავებს ადგილსა თვისსა ქუემო კერძო კათედრისა, მარჯუენით და მარცხენით, პროტოდიაკონი იტყვის:


„უფლისა მიმართ ვიდოცოთ“, მგალობელნი: „უფალო შეგვიწყალებ“. კათოლიკოზად აღრჩეული, ოდეს ლოცვანი წარიკითხებიან, მოიდრეკს მუხლთა თვისთა კათედრასა ზედა და აღიხდის მიტრასა; უპირატესი მღუდელთმთავარი წართქუამს ლოცვასა ამას:

„ღმერთო რომელმან, ყოველივე შექქენ ძალითა და დაამყარე სოფელი ზრახვითა; რომელმან შეამკვე გვირგვინი შენ მიერ შექმნულთაი, რომელმან მოეც მათ შიშით მორჩილებისა შენისა დამარხვად, რომელმან მოკვამდღე ჩუენ გონებაი ჰეშმარიტი და მაუწყე ჩუენ სული შენი წმიდაი და ტკბილი, რომელმან ძე შენი საყუარელი გარდამოავლინე მაცხოვრად, მხოლოდ შობილი, უბიწოი, ცხოვრებისა ჩუენისათვის; ღმერთო და მამაო უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესო, ღმერთო მოწყალე-ბათაო და ყოველისა ნუგეშინისცემისაო, რომელი მაღალთა ზედა უზრუნველთა მათ წმიდათა შინა საუნჯეთა დამკვიდრებულ ხარ, რომელი მაღალ ხარ და დიდებულ, საშინელ და დიდ და ყოველთა მსტოვარ, რომელმან იცნი ყოველივე ყოფადმდე მათა, რომლისაგან ყოველივე ყოფადმდე იქნა, რომელმან მოეც განათლებადი ეკლესიასა შინა მაღლისასა მხოლოდ შობილისა მიერ ძისა შენისა, განაჩინენ დასაბამითგან, რომელთა წინაისწარ სამართალი გამოურჩევიეს და რომელნი სიწმიდის-მოქმენდი არიან, დამკვიდრებად იგინი საყოფელთა შენთა; რომელმან გამოიჩინე აბრაჰამ, რომელი სათნო გეყო შენ სარწმუნოებითა, და ენუქ ქალწული ცხოვრებისა საუნჯესა მიიყვანე; რომელმან მთავარნი და მღუდელნი განაწესენ სიწმიდესა მაღალთა შინა შენთა; უფალო, რომელმან მოუწოდე მთავართა ადგილსა დიდებისა შენისასა გალობად და დიდებად სახელისა შენისა და მხოლოდ შობილისა ძისა შენისა; უფალო, მაშინდითგანვე სიწმიდს შენი მაღალთა შინა უმსახურებელად არა დაუტევე; უწინარეს სოფლის დაბადებისით, ღმერთო, და კუალად სოფლის დაბადებითგან სიწმიდე შენი მთავართგან და მღუდელთა შეამკვე ხატად სიწმიდეთა მათ შენთა ზეცისათა; შენ, უფალო, ინებე დიდებად აწ და ღირს ყავ ესე მთავრად ერისა შენისა, განანათლე ესე და მოეც მთავრობისა მისგან შენისა სულისა გულისხმის ყოფადი და მაღლი, რომელი მოეც საყუარელსა

ძესა შენსა იესუ ქრისტესა; მოეც სიბრძნისა ღმერთო, ზრახვი, სიმნსს, ძალი, სულისა ერთობაი, ყოველივე ყოფად მოხედვითა შენითა; მოეც სულისაგან შენისა, წმიდაო, რომელი იგი წმიდათა შენთა მოანიჰე მოციქულთა შეუგინებელსა და წმიდასა შენსა ეკლესიასა და ყოველსა ადგილსა სიწმიდისა შენისასა; მოეც მონასა ამას შენსა (სახელი), უფალო, რათა იყოს სათნო შენდა, მადიდებელად და მაქებლად დაუკლებელად, ღმერთო, გალობათა მარჯუეთა და შეწყნარებულთა ლოცვათა, თხოვათა სარწმუნოთა, ზრახვასა მართალსა გულითა მდაბლითა, საქმესა ცხოვრებისასა და მშვიდობისასა და ჰეშმარიტებისასა, მეცნიერად სიწმინდებისა; გულთა მეცნიერო მამაო, მონასა ამას შენსა ზედა, რომელი გამოიჩინე კათოლიკოზად, რათა მწყსიდეს სამწყსოსა შენსა წმიდასა, გარდამოავლინე მაღლი შენი მღუდელთ-მოძღურებად შენდა უბიწოდ და წმიდად, მოუკლებელად მსახურებად ღმრე და ღამე, გამოცხადებად ამას პირი შენი; ღირს ყავ ესე, უფალო, შეწირვად შესაწირავსა წმიდასა ეკლესიასა შენსა კრძალულად ყოველითა მოშიშებითა, რათა სული ხელმწიფებისაი აქუნდეს; მომადლე განხსნაი ყოველისა კრულებისაი, ვითარცა მომადლე წმიდათა შენთა მოციქულთა სათნოებად შენდა, განამტკიცე სიმშვიდითა, სიყუარულითა, სწავლულებითა და მეცნიერებითა, სიმხნითა, მლოცველად ერისა, რათა იგლოვდეს უმეცართა, და მოხადდეს შენდა შემწედ, რათა შესწირვიდეს შენდა გალობასა და აღსარებასა და ლოცვასა სულად სულნელებისად ძისა შენისა მიერ საყუარელისა, იესუ ქრისტესა, რომლისა მიერ ჰმუენის შენდა დიდებაი და ძალი სულისა წმიდისა შენისა თანა, უწინარეს საუკუნეთა, აწ და მარადის, და ნათესავითი-ნათესავად, დაუსრულებელთა საუკუნეთა საუკუნეთასა“. მგალობელთა — „ამინ“.

წარდგომა სამოციქულოისა: „აცხაფე, უფალო, კრი შენი და აკურთხე სამკვიდრებელი შეხა“, დასდებელი — „შესდაში, უფალო, ხმა ვეავ“. სამოციქულო ებრაელთა მიმართ, დასაწყტა (წარიკითხავს პროტოდიაკონი):

მივის ჩუენ მღუდელთმთავარი დიდი, რომელმან განვლნა ცანი, იესუ ძს ღმრთისაი, შევიკრძალოთ აღსარებაი იგი მისა მართლ. რამეთუ არა ეგევითარი გვივის მღუდელთმთავარი, რომელიმცა ვერ შემძლებელ იყო შეწყალებად უძღურებათა ჩუენთა, გამოცდილი ყოველითავე მსგავსებითა, თვინიერ ცოდვისა. მოუხდეთ უკუე განცხადებულად საყდართა მათ მაღლისათა, რათა მოვილოთ წყალობაი და ვპოვოთ მაღლი ჟამსა შეწყნარებისასა. რამეთუ ყოველი



მლუღელთმთავარი, კაცთაგან მოყვანებული, კაცთათვის დასდგის იგი ღმრთისა მიმართ, რათა შესწირვიდეს შესაწირავთა და მსხუერპლთა ცოდვათათვის შენდობით. და სწორად წყალობად შემძლებელ არს უმეცართა მათ და შეცთომილთა, ვინაითგან მასცა ზედააძს უძლურებაი, და ამისთვის თანააძს ვითარცა ერისათვის, ეგრეცა თავისა თვისისათვის, შეწირვად მსხუერპლი ცოდვათათვის. და არავინ თავით თვისით მოიღის პატივი, არამედ რომელი წოდებულ არნ ღმრთისა მიერ, ვითარცა იგი აპრონ. ეგრეთცა ქრისტე არა თავით თვისით იღიდა ყოფად იგი მლუღელთმთავრად, არამედ რომელი იგი ეტყოდა მას: ძე ჩემი ხარი შენ და მე დღეს მიშობიე შენ. ვითარცა იგი სხუასაცა აღვიღსა იტყვის: შენ ხარ მლუღელი უკუნისამდე წესსა მას ზედა მელქისედეკისასა. ვითარცა იგი დღეთა მათ ხორცთა მისთასა ვედრებასა და ლოცვასა შემძლებელისა მის მიმართ ხსნად მისსა სიკუდილისაგან ხმითა მადლითა და ცრემლითა შესწირვიდა, და შეისმინა მისი მოშიშებისა მისგან. და რამეთუ ძედა იყო, ისწავა, ვინაითგან იგი იენო მორჩილებაი. და სრულ იქმნა და ექმნა ყოველთა მორჩილთა მისთა მიზეზ ცხოვრებისა საუკუნოსისა. და სახედ ედვა ღმრთისა მიერ მლუღელთმთავრად წესსა მას ზედა მელქისედეკისასა“. (ებრ. IV 14—V, 10.)

„ადიფუა—„შენთანა არს მთავრობაი“... სახარება მათსი, დასაწყ. 48, 49, 50, 51, (წარიკითხოს მეორემან მლუღელთმთავარმან:

„მორაივიდა იესუ აღვიღთა მათ კესარია ფილიპსათა, ჰკითხვიდა მოწაფეთა თვისთა და ჰრქუა: რაი თქვიან ჩემთვის კაცთა, ძისა კაცისა ყოფად? ხოლო მათ ჰრქუეს: რომელთამე იოანე ნათლისმცემელი, რომელთამე ილია და სხუათა იერემია, გინა ერთი წინაისწარმეტყუეთაგანი. ხოლო მან ჰრქუა მათ: თქვენ ვინ გგონიე მე ყოფად? მიუგო სვიმონ-პეტრე და ჰრქუა მას: შენ ხარ ქრისტე, ძლ ღმრთისა ცხოველისაი. მიუგო იესუ და ჰრქუა მას: ნეტარ ხარ შენ, სვიმონ, ბარ-იონა, რამეთუ ხორცთა და სისხლთა არა გამოავცხადეს, არამედ მამამან ჩემმან ზეცათამან. და მე გეტყვი შენ: რამეთუ შენ ხარ კლდე, და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაი ჩემი, და ბქენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდენ მას. და მოგცნე შენ კლიტენი სასუფეველისა. ცათისანი, და რომელი შეჰკრა ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა, და რომელი განჰსენა ქუეყანასა ზედა, ხსნილ იყოს იგი ცათა შინა. რომელსა უყუარდეს მამაი ანუ დედაი უფროის ჩემსა, არა არს იგი ჩემდა ღირს; და რომელსა უყუარდეს ძლ ანუ ასული უფროის ჩემსა,

იგი არა არს ჩემდა ღირს. და რომელმან არა აღილოს ჯუარი თვისი და შემომიღგეს მე, არა არს ჩემდა ღირს. რომელმან მოიპოვოს სული თვისი, წარიწყმიდოს იგი და რომელმან წარიწყმიდოს სული თვისი ჩემთვის, მან პოვოს იგი. რომელმან შევიწყნარეს თქვენ, მე შემიწყნარა; და რომელმან მე შემიწყნაროს, შევიწყნაროს მომავლინებელი ჩემი. რომელმან შევიწყნაროს წინაისწარმეტყუელი სახელად წინაისწარმეტყუელისა, სასყიდელი წინაისწარმეტყუელისაი მიიღოს, და რომელმან შევიწყნაროს მართალი სახელად მართლისა, სასყიდელი მართლისაი მიიღოს. და რომელმან ასუას ერთსა მცირეთაგანსა სასუმელი ერთი, წყალი გრილი, სახელად მოწაფისა, ამინ გეტყვი თქვენ, არა წარიწყმდეს სასყიდელი მისი. და ყოველმან, რომელმან დაუტევოს სახლი, გინა ძმანი, ანუ დანი, ანუ მამაი, ანუ დედაი, ანუ ცოლი, ანუ შვილნი, ანუ აგარაკნი სახელისა ჩემისათვის, ას წილად მიიღოს, და ცხოვრებაი საუკუნოი დაიმკვიდროს. ხოლო მრავალნი იყვენ პირველნი უკუანა და უკუანანი წინა“ (მთ. XVI, 13—19, X, 37—42, XIX, 29—30)

მგლობელთა: „დიდება შენდა, უფალე, დიდება შენდა“.

პროტოდიაკონმა: მერმე და მერმე მშვიდობით უფდის მიმართ ვიდფცფთ. სხუამან მლუღელთმთავარმან ლოცვა:

„ღმერთო, რომელი დიდ ხარ და საუკუნე და არარაი არს დაფარულ შენგან; რომელმან შეჰქმენ ყოველივე სიტყვითა ბრძანებისა შენისაითა; რომელმან უმეტესად ჰყვი ჩუენისა თხოვისა და გულისხმის-ყოფისა; რომელმან დაამტკიცენ ეკლესიანი პატიოსნითა სისხლითა მხოლოდ-შობილისა ძისა შენისაითა და გამოაჩინენ მათ შინა მოძღუარნი, რომელთა მიერ განეფინა ყოველთა ცის კიდეთა მეცნიერებაი ჰეშმარტებისა შენისაი, რომელი თავადმან მხოლოდ შობილმან მაგან ძემან შენმან მოჰმადლა ნაშობსა კაცთასა, რომელმან თითოეულად-თითოეულად ნათესავად-ნათესავადისა ნაშობთაგანი გამოაჩინენ რჩეულნი შენნი; შენვე თავადმან ღმერთმან აწცა მოხედე მონასა ამას შენსა (სახელი) და გამოაჩინე ესე გამოჩევითა მაგით სულისა წმიდისაითა, რათა იყოს ესე სრულ მლუღელ მსგავსად ჰეშმარტისა მის მწყემსისა, რომელმან დადვის თავთვისი ცხოვართა ზედა; დაამტკიცე სულითა მაგით მხოლოდ შობილისა ძისა შენისაითა მსახურებასა ამას წმინდათასა და დიდებულსა, რათა მწყსიდეს სამწყსოსა შენსა მართლითა გონებითა, და წარუმართე ამას სიტყუათა შინა ჰეშმარი-

ტებისათა და ეც ამას სიტყუაი აღებასა პირი-  
სასა, რათა იყოს განმანათლებელ მსხდომარე-  
თა ბნელისათა, მასწავლელ უგუნურთა, მოძ-  
ლურ ჩჩვილთა; შეჭურვ და შთაცვი ამას ძა-  
ლი ზეცითა გარდამოი, რათა ოდეს დასდგო-  
დის ხელი სნეულთა ზედა, იქმნებოდის ნიშე-  
ბი და სასწაულები ერსა შენსა შორის, რათა  
ასწაოს სრულიად და დამტკიცოს სულიერად  
ყოველივე, რომელი ესე სარწმუნოდ გამოარ-  
ჩიე შენისა მაგის სიმდიდრისა, და მწყსად ერი-  
სა შენისა ჩუენისა მის გლახაკებისაგან ნებითა  
შენითა; რათა დგეს წინაშე საკურთხეველსა  
შენსა წმიდასა და საშინელსა დღესა მას გამო-  
ცხადებისა შენისასა და მოელოდის მოსაგე-  
ბელსა კეთილსა სარწმუნოდ მშრომელთა თანა  
შენითა მაგით კაცთმოყუარებითა, მოწყალები-  
თა და შეწყნარებითა მხოლოდ შობილისა ძისა  
შენისაითა, რომლისა თანა შენდა დიდებაი ჰშუენ-  
ის წმიდით სულითურთ აწ და მარადის და  
უკუნითი უკუნისამდე“.

მგალობელთა—ამინ.

პროტორდიაკონი: შერმე და შერმე მშვიდო-  
ბით უფლასა მაშრთ ვაფოცოთ. უპირატსსმა  
მღუდელთმთავარმან ლოცვა:

რომელმან მღუდელთმთავრობისა ნიჭი მი-  
ჰმადლე ისრაელსა ხორციელებისა მსახურები-  
საი და სულიერებრი მღუდლობაი ჩუენ გან-  
მიწყსე, ისმინე ჩუენი, უფალო, და დაადგინე  
მონაი შენი (სახელი) მწყსად და სარწმუნოდ  
მსახურად და მცველად სარწმუნოებისა, მღუ-  
წელად ეკლესიისა შენისა, შემოკრებად უცხო-  
თა და განმაკრძალებელად წმიდათა შენთა და  
სარწმუნოთა, რათა მოლოს მადლი ქრისტეს  
შენისაი, აღაორძინოს ეკლესიაი შენი შეწვენი-  
თა სულისა წმიდისაითა და წარდგეს დიდებასა  
ქრისტეს შენისასა, რომელსა ჰშუენის დიდე-  
ბაი, მამისა და ძისა და სულისა წმიდისაი,  
აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.“

მგალობელთა—ამინ.

შემდგომად ამისა იქმნების აღსლვაი წმი-  
დად საკურთხეველად, ვითარცა უჩენს წესი  
მღუდელთმთავრის ლიტურდიისაი. აღსრულებ-  
ბასა სამწმიდაობითისა გალობისასა კათოლიკო-  
ზი აღვალს უზედაესსა ადგილსა; ორნი უპირა-  
ტსნი მღუდელთმთავარნი, მპყრობელნი მისნი  
მარჯუენით და მარცხენით, დააბრძანებენ მას  
განმზადებულსა დასაჯდომელსა და იტყვიან:  
„აქსიას“; თანამწირველნი და მგალობელნი:  
„აქსიას, აქსიას, აქსიას“. მღუდელთმთავარნი  
აღადგენენ კათოლიკოზსა, კუალად დააბრძანე-  
ბენ და იტყვიან, ვითარცა პირველ; ესე იქმ-  
ნების მესამედაც. შემდგომად ამისა წარიკით-  
ხენ სამოციქულოსა და აღსრულების წმიდაი

ლიტურდიაი, რომელსა თანადაერთვის სამად-  
ლობელი პარაკლისი.

**წახი, რომელი იმხანის ხელთდასხვა-  
სა ზედა მარკოპოზისა.**

(დასასრული)

კუალად აღვიარებ შეიდას მას საიდუმ-  
ლოსა, რომლითაცა ცხოვრებენ ქრისტიანენი;  
პირველად ნათლის ღებასა, რომელ არს კარი  
და დასაბამი ყოველისა საიდუმლოსა, იქმ-  
ნების სამეზის შთასვლითა ემბაზსა შინა და აღ-  
მოყვანითა და არა მსგავს ლათინთა მიერ ახ-  
ლად შემოღებულთა, რომელნი იტყვიან, ვი-  
თარმედ სხურებით იქმნების ნათლის ღებაი. კუა-  
ლად მრწამს წმიდაი იგი მსხურაპლის შეწირვაი  
მაშინ განსრულებულად, ოდეს იგი იტყვის  
მღუდელი საუფლოსა მას ხმასა: „მიიღეთ და  
ქამეთ“ და „სუთ ამისაგან ყოველთა“, და შემ-  
დგომად ამისა“ ევედრების მამასა მეტყუელი:  
„შესცვალე სულითა შენითა წმიდითა“. ამით  
განსრულდების და იქმნების ჭეშმარიტად ხორ-  
ცად და სისხლად, რამეთუ თვინიერ სულისა  
წმიდისა არარაი სრულ იქმნების და არა ეგ-  
რეთ, ვითარ იგი ლათინნი იტყვიან, ვითარ-  
მედ მხოლოდ საუფლოთა ხმითა, თვინიერ  
სულისა წმიდისა, სრულ იქმნებისო. კუალად  
ვიჯმნი კალვინანთა და ლუტერიანთა წულე-  
ბისაგან, რომელნი იტყვიან, ვითარმედ ლი-  
ტურდიასა ზედა პური ლიტონივე პური იქმნე-  
ბისო და ღვინოი კუალად ლიტონივე ღვინოი  
იქმნებისო, რამეთუ ესე არს დიდი წულებაი.  
ხოლო ვიტყვი, რამეთუ კურთხევითა მით  
მღუდელთაითა შეიცვალების პური იგი ხორ-  
ცად უფლისად და ღვინო შეიცვალების სისხ-  
ლად უფლისად. ამათ ჭეშმარიტთა აღსარებათა  
ჩემთა თანა აღვსტქუამ დაცვად და მტკიცედ  
პყრობად ეკლესიისა მშვიდობასა და გულსმოდ-  
გინედვე აღვსტქუამ სწავლად ჩემდა მომართ  
რწმუნებულისა ერისა და არაოდეს ბრძნობად  
რომელისამე უკუე ჩუეულები, რომელიცა  
ეწინააღმდეგომების მართლმადიდებლობითსა აღ-  
მოსავლეთისა ეკლესიისა სარწმუნოებასა, და  
შეუდგებოდე ყოველთა შინა სრულიად საქარ-  
თველოისა მამათმთავარსა, ვითარცა ჭეშმარიტ-  
სა მწყემსმთავარსა ჩემსა, და მოვიხსენებდე  
კანონთა მისთა; და ყოველად-სამღუდელთა  
მიტროპოლიტთა, არქიეპისკოპოსთა და ეპის-  
კოპოსთა ძმათა ჩემთა ერთხმა ყოფა; ყოველ-  
სავე შინა და სიყუარული უკუე სულიერი სრუ-  
ლებით მაქუნდეს; მათ თანა სულითა და სიყუა-  
რულით პატივსცემდენ მათ, ვითარცა ძმათა.  
კუალად აღვსტქუამ არა მიღებად უცხოთა ჩუეუ-

ლებათა, როგორც ეწინააღმდეგების საეკლესიო-სა გარდამოცემასა და დაცვად უცვალებელად ყოველივე წესი, მოცემული მართლმადიდებლობითისა აღმოსავლეთისა ეკლესიისა; და თანა-ვხმობდნენ და ერთგონიერებდნენ უნეტარესისა და უწმიდესისა მამათმთავრისა ჩუენისა თანა და უნეტარესთა და უწმიდესთა აღმოსავლეთისა ოთხთა მსოფლიოთა პატრიარქთა, კეთილმსახურებისა დამცველთა და განმგებელთა. კუალად შევსძინებ ამასცა აღთქუმათა ჩემთა, ვითარმედ არა სადა განშორებად გონებაი ჩემი შჯულოიერისაგან მიმართებისა სრულიად საქართველოს კათოლიკე ეკლესიისა მიმართისა, ესე იგი არს წმიდისა და დიდისა სამოციქულოისა ეკლესიისა, სუეტისა ცხოველისა; ეგრეთვე ყოველსა შინა ყოველგან და მარადის ყოვლისა უმჯობესისა მეცადინობად სანათესაოისა მშობელობითისა ქუეყანისა ჩემისა. ამათ ყოველთა აღთქუმულთა ჩემთათვის აღვსთქუამ და დავამტკიცებ წინაშე ყოველთა-მხილველისა ღმრთისა დაცვად ყოველთავე აღთქუმულთა ამათ ჩემთა ყოველთა სულითა ჩემითა, ყოვლითა გონებითა ჩემითა და ყოვლითა ძალითა ჩემითა ვიდრე უკანასკნელ აღმოფხვინვადმდე ჩემდა თანაშეწევითა და თანამოქმედებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, როგორცა შუენის ყოველი დიდებაი, პატივი და თაყუანისცემი თანადაუხაბამოით მამით მისით და ყოვლად წმიდით, სახიერით და ცხოველმყოფელით სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ“.

შემდგომად სრულყოფისა გამორჩეული-საგან აღსარებულთა ამათ აღთქუმულთა კათალიკოზი, კურთხევისა გამომსახველი, იტყვის გამორჩეულისა მიმართ:

„მადლი ყოვლად წმიდისა სულისაი საზომისაებრ ჩემისა განგაჩინებს ჩემ მიერ შენ, ღმრთის მოყუარესა და გამორჩეულსა არქიმანდრიტს (ანუ წინამძღვარს, დეკანოზს, მღვდელს, ხუცეს-მონაზონს, სახელი) ეპისკოპოზად ღმრთივდაცულისა ქალაქისა (ანუ ადგილისა, სახელი).“

შემდგომად გამორჩეული იგი თაყუანის სცემს კათალიკოზს სამგზის; პროტოდიაკონი მიიყვანს მას წინაშე კათალიკოზისა, და იგი ამბორს უყოფს ხელსა კათალიკოზისასა და შთამოვალს ქუე და თაყუანის სცემს კუალად. ხოლო კათალიკოზი, მას ზედა გამომსახუელი კურთხევისა, იტყვის:

მადლი ეფუჯად წმიდის სულისაი იყავნ შენთანა.

ესრეთ გამორჩეული მოიყვანების პროტოდიაკონისაგან და დაიდგინების არწივსა ზედა; პროტოდიაკონი ეტყვის „მზავაჟამიერს“ კა-

თალიკოზს, მღვდელთმთავართა და მღვდელთმთავარნი, შემდგომად ამისა მიულოცვენ გამორჩეულსა მას უწმიდესი კათალიკოზი და მღვდელთმთავარნიცა და იგი ხელსა ამბორს უყოფს მათ და აღვალს საკურთხეველად, სადა დადგების არწივსა ზედა მარცხენით კერძო წმიდისა ტრაპეზისა.

შემდგომად აღსლვისა კათალიკოზისა და მღვდელთმთავართა წმიდად საკურთხეველად და სამწმიდაობითისა გალობისა აღსრულებისა მოიყვანების გამორჩეული იგი უპირატესისა დეკანოზისა და პროტოდიაკონისა მიერ წინაშე წმიდისა კარისა სამეუფოისა და ორნი მღვდელთმთავარნი, მომგებებელნი წმიდით საკურთხეველით, აღიყვანების მას საკურთხეველად. ხოლო გამორჩეული იგი, წინაშე წმიდისა ტრაპეზისა თაყუანისმცემელი სამგზის და მეტყუილი:

დემკრთ, მიჯნენ ცხდვილსა ამას და შემაწყაფე მე, —ორთავე მუხლთა მოიდრეკს არწივსა ზედა წინაშე ტრაპეზისა და ხელთა ჯუარედად დასდებს მას ზედა, დასდებს შუბლსაცა შორის ხელთა. ხოლო კათალიკოზი, გამომხატველი ჯუარედად კურთხევისა თავსა ზედა მის ხელდასხმადისასა, იტყვის:

სახელითა ერთაჩისა წმიდისა სამებისაი ეფუჯად წმიდა ღმრთის მშობელთა შეწივე მზასს ამას შენსა (სახელი).

და ესრეთ დამდები ორთავე წუერთა ომფორისთა თავსა ზედა მისსა და მომდები წმიდისა სახარებისა მღვდელთმთავართა თანაშეწევითა, განჰყოფს წმიდასა მას სახარებასა და დასდებს პირდაღმა თავსა ზედა მის ხელდასხმადისასა. ხოლო მარჯუენით კათალიკოზისა მღვდელთმთავარნი მღვდელთმთავარნი სთქუას:

მჩქედენ. და ესრეთ კათალიკოზი, თავსა ზედა ხელდასხმადისასა ხელისა დამდებელი, იტყვის მღუშორიად:

„გამორჩევისაებრ და გამოწულილვისა სამღვდელთა და საერთა დასთა (სახელი) სამწყობისაითა.

(მადლითა ხმითა:) საღმრთო მადლი, უძლურთა ყოვლადმე მკურნალი და ნაკლულე-ვანთა აღმავსებელი, ხელდასმულ ჰყოფს ღმრთის მოყუარესა არქიმანდრიტსა (ანუ წინამძღვარსა, დეკანოზსა, მღვდელსა, ხუცეს-მონაზონსა, სახელი), გამორჩეულსა ეპისკოპოზად ღმრთივდაცულისა ქალაქისა (ანუ ადგილისა, სახელი); ვილოცოთ უკუე ამისათვის, რათა გარდამოვიდეს ამას ზედა მადლი ყოვლად წმიდისა სულისაი.“

ხოლო მღვდელთმთავარნი და მღვდელ-





ნი, წმიდისა ტრაპეზისა გარემოს მდგომარენი, ჰგალობენ: კირიელისა სამგზის, ეგრეთვე მგალობელნიცა. და ესრეთ ორთა მათ მღუდელთ-მთავართა იპყრიან წმიდაი სახარებაი ხელითა, რომელ შესაძლებელ იყოს კათალიკოზისაგან კურთხევისა გამოსახვაი სამგზის თავსა ზედა ხელთა დასხმადისასა; კათალიკოზი სამგზის გამოსახავს ჯუარსა თავსა ზედა მისსა და იტყვის:

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა ამინ.

კათალიკოზი, დამდებელი ხელისა თავსა ზედა ხელდასხმადისასა, წარიკითხავს ლოცვასა ამას:

„მეუფეო უფალო ღმერთო ჩუენო, რომელმან სჯულდებულ ყავ ყოვლად ქებულისა მოციქულისა შენისა პავლს მიერ პატივითა და განწესებითა შენითა მოწესენი მასხურებად და შეწირვად პატიოსანთა და უბრწელთა შენთა საიდუმლოთა წმიდასა საკურთხეველსა შენსა ზედა: პირველად მოციქულნი, მეორედ წინაისწარმეტყუელნი, მესამედ მღუდელთმოდლუარნი,—შენ, მეუფეო ყოველთაო, ესეცა გამოჩეული, რომელი ღირს იქმნა შესღვად უღელსა სახარებისასა და პატივსა მღუდელთმთავრობისასა და ხმითა ხელთა ჩემ ცოდვილისა და თანამყოფთა და თანამსახურთა ეპისკოპოსთაითა, განაძლიერე მოსლევითა, მადლითა, ძალითა და დანერგვითა ყოვლად წმიდისა სულისა შენისაითა, ვითარცა განაძლიერენ წმიდანი მოციქულნი შენნი და წინაისწარმეტყუელნი, ვითარცა ცხებულ ყვენ მეფენი, ვითარცა წმიდა ყვენ მღუდელთმთავარნი; გამოაჩინე უნაკლულოდ მღუდელთმთავრობაი ამისი და, ყოვლითა პატიოსნებითა შეკულო, წმიდად წარადგინე, რათა ღირს იქმნას თხოვად შენგან საცხოვრებელად ერისა და შენ ისმინო ამისა, რამეთუ წმიდა არს სახელი შენი და დიდებულ მეუფებაი შენი, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აჴ და მარადის და უკუნითი უკუნი სამდე ამინ.“

ხოლო შემდგომად ამისა იტყვის მარჯუენით მდგომარე მღუდელთმთავარი ნელიადითა ხმითა, სასმენელად გარემოსი მდგომარეთა, კურგქისა ამას:

„მშვიდობით უფლისა მიმართ ვილოცოთ. ზეგარდამო მშვიდობისა მშვიდობისათვის ყოვლისა სოფლისა... უნეტარესისა და უწმიდესისა სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქისა (სახელი), მღუდელთმთავრობითისა შეწევნისა, მშვიდობით ყოფისა, სიმრთელისა და ცხოვრებისათვის მისისა უფლისა მიმართ ვილოცოთ. მონისა ღმრთისა (სახელი), აჴ

ხელდასხმულისა ამის ეპისკოპოსად, და ცხოვრებისათვის მისისა უფლისა მიმართ ვილოცოთ. რათა კაცთმოყუარემან ღმერთმან შეუგინებელად და უბიწოდ მოჰმადლოს ამას მღუდელთმთავრობაი უფლისა მიმართ ვილოცოთ ქალაქისა ამის ჩუენისა, ყოვლისა ქალაქისა და სოფლენისა და სარწმუნოებით მკვიდრთა მას შინა უფლისა მიმართ ვილოცოთ...“


კეთილ შეზავებისათვის ჰაერთასა... მენავეთა, მოგზაურთა სნეულთა... ხსნად ჩუენდა ყოვლისაგან ჰირისა.. შეგუეწიენ, გუაცხოვნენ... ყოვლად წმიდისა უბრწელისა, უფროსად კურთხეულისა...“

ამას რაი იტყოდენ, კათალიკოზსა ხელთ ედვას თავსა ზედა კურთხეადისასა და შემდგომად კურგქისი აღსრულებისა წარიკითხოს მან ლოცვაი ესე:

„უფალო ღმერთო ჩუენო, რომელმან უძლურებისათვის კაცთა ბუნებისა, რომელსა ვერ ეძლო ტვირთვად ღმრთეებისა მის არსებაი, განგებულებითა შენითა მსგავსნივე ჩუენნი მოძლუარნი დაადგინენ, მპყრობელნი ტაძართა შენთანი, შემწირველად მსხურებლისა და შესაწირავისა ყოვლისათვის ერისა შენისა; შენ უფალო, ესეცა, რომელ გამოჩნდა შენ მიერ მნელ სამღუდელთმთავრობისა მის მადლისა, ღირს ყავ მსგავს ყოფად შენდა, კეთილისა მაგის მწყემსისა, რომელმან დასდევ სული შენი ცხოვართა შენთათვის, რათა წინამძღუარ ბრმათა, ნათელ დაბნელებულთ, მასწავლელ უგუნურთა, მოძლუარ ყრმათა და მნათობ სოფლისა ეგოს და რათა წარუმართოს სულთა მათ, რწმუნებულთა ამისდა, საწუთროისა ამისგან ცხოვრებად საუკუნოდ და წარდგეს ურცხუენელად წინაშე საყდარსა შენსა და სასყიდელი დიდი მიიღოს, რომელი განუმზადე მოლუაწეთა ქადაგებისათვის სახარებისა შენისა. რამეთუ შენი არს მოწყალეობაი და მაცხოვარებაი ქრისტე ღმერთო ჩუენო და შენდა დიდებასა აღვავენთ, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აჴ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ.“

მღუდელთმთავარნი აღიღებენ წმიდასა სახარებასა თავისაგან ახალ ხელდასხმულისა და დასდებენ წმიდასა ზედა ტრაპეზსა, და აღადგენს ზე კათალიკოზი ხელდასხმულსა მას; მღუდელთმთავარნი მოიღებენ ენქერსა, თუ სადამე მღუდელთმთავრობამდე არა აქუნდა მას, და მიართმევენ კათალიკოზს, რომელსა ზედა კურთხევისა გამომსახუელი იტყვის კათალიკოზი მადლითა ხმითა:

აქისიას.  
და ესრეთ წმიდასა შინა საკურთხეველსა მდგომარენი სამღუდელონი და გარემდგომარე-



ნი ორნივე გუნდნი ჰგალოზენ სამგზის: აქსიოს. ეგსახედ კათალიკოსსა მიაართმევენ მღუდელთ- მთავარივე ბისონსა და მას ზედაცა კურთხე- ვისა გამომსახველი ბრძანებს კათალიკოზნი:

აქსიოს.

და ესრეთ ჰგალოზენ შინაგნით და გარეთ სამგზის. და მერველა მსგავსადვე ომფორსა და პანალიასა და ჯუარსა და მიტრასა, და თვითე- ულსა მათსა ზედა გამომსახუელი კურთხევისა კათალიკოზნი ბრძანებს: აქსიოს, და ჰგალოზენ შინაგნით და გარეთ მასვე სამგზის. შემდგომად ამისა ხელდასხმული იგი ამბორს უყოფს კათა- ლიკოსსა მხართა ზედა, მარჯუენესა და მარც- ხენესა, და ხელსა მარჯუენესა, და სხუათა მღუდელთმთავართა. შემდგომად ამისა იქმნე- ბის აღსლვაი უზედაესსა ადგილსა, ახლად ხელ- დასხმული სდგას მარჯუენით კერძო კათალი- კოზისა და სამოციქულოსა ზედა იტვის: მშვი- დობა უფუჯთა. შემდგომად სახარებისა, დიდ- სსა გამოსლვისა და „ცხსრენუ ღმერთო ერთი შე- ნა“-სა იგივე გამოსახავს ჯუარსა დიკირითა და ტრიკირითა; იგივე იტყვის ასამაღლებელს — „წამეთუ მძწუჯუ და კატომეუარე ღმერთი ხარ“ და დიდსა გამოსვლასა ზედა მიირქუამს წმიდა- სსა ბარძიმსა უპირატესისა არქიმანდრიტისაგან და ჰყოფს ჯეროვანსა მოხსენებასა. უკეთუ იყოს ხელდასხმაი ხუცობისაი გინა თუ დიაკო- ნობისაი, აღასრულებს მას ახალ ხელდასხმული მღუდელთმთავარი, რომელიც აზიარებს წმიდა- სსა სისხლსა ყოველსა სამღუდელოსა თანამწირ- ველსა დასსა.

შემდგომად სრულყოფისა საღმრთოისა ლიტურგიისა, ოდეს განიხდინან კათალიკოზნი და მღუდელთმთავარნი შესამოსელთა, წინაშე წმიდისა ტრაპეზის მდგომარენი, მოიყვანენ წი- ნაშე კათალიკოზისა ახალ ხელდასხმულსა მას და მიაართმევენ კათალიკოსსა სამღუდელთმთავ- როსა ანაფორასა, რომელსა ზედა კურთხევი- სსა გამომსახველი, კათალიკოზნი შთააცმევს მას, და ეგრე სახედ მისცემს მას პანალიასა, მან- ტიასა, კუნკულსა და კირელუისონსა. ხოლო კათალიკოზნი გამოვალს რა წმიდით საკურთხე- ველით და თაყუანისმცემელი წინაშე წმიდისა სამეფოისა კარისა და მოქცეული ჩუეულები- საებრ დასავალად, სამხრედად და ჩრდილოდ ჰყოფს კურთხევასა მდგომარეთა ერთასა, ხოლო გუნდნი ჰგალოზენ:

ტონ დესპოტინ კე არქიერკა იმონ კირეი ფი- ლატე ისპოლა ეტი დესპოტა.

და შემდგომად აღვალს კათალიკოზნი კა- თედრასა ზედა და საშუალ ეკლესიისა დადგების; უპირატესისა დეკანოზისა და პროტოდიაკონი- საგან მოიყვანების ახალი იგი მღუდელთმთავა-

რი, რომელსაცა მისცემს კათალიკოზნი მღუდელთ- სსა მწყემსობითსა და ეტყვის:

„მიიღე კურთხი ესე, რათა დაჰმწყსო რწმუ- ნებული შენდა სამწყსოი ქრისტესნი; რომელსა ჰრწმენეს შენი, იყავნ მას ზედა კურთხ და სიმტკიცე, და რომელსა არა ჰრწმენეს შენი და უღებ იქმნეს, მიაქციე მას ზედა საგუემე- ლად კურთხი ესე შენი სატანჯუელად მისა.“

და ესრეთ თაყუანის სცემს ახალ ხელ- დასხმული იგი მღუდელთმთავარი კათალიკოზ- სსა და ამბორს უყოფს მას ხელსა მარჯუენესა, ეგრევე სახედ ამბორს უყოფს ძმათა თვისთა მღუდელთმთავართა. ყოველნი სამღუდელონი და საერონი დასნი ამბორს უყოფენ ახალ ხელ- დასხმულსა მას მღუდელთმთავარსა, კეთილ სა- ქმებელითა სიტყუებითა მიმთხუეულნი, და ეს- რეთ დაიხსნების კრებაი და იქმნების ყოველთა გამოსლვაი ეკლესიით.

**შ ე ნ ი შ ნ ნ ა .**

წესი როგორც ეპისკოპოსად ხელდასხმისა, აგრედვე კათალიკოზის კურთხევისა და საყდ- რად აღყვანისა პირველად იბეჭდება.

პირველი წესი, ეპისკოპოსად ხელდასხმისა, უძველეს დროიდანვე ნათარგმნი ქართულად; აქ ჩვენ ვგულისხმობთ მხოლოდ ლოცვებსა და „განმასრულებელ ფორმულებს“, რომლებიც მეთერთმეტე საუკუნიდან წმ. ექვთიმე ათონე- ლის რედაქციით იხმარებოდა ჩვენში; რაც შე- ეხება „ცერემონიალურ“ ნაწილს, იმას ძველ ხელნაწერებში აფგილი არა აქვს, მხოლოდ ან- ტონ კათალიკოზსა სთარგმნა ეს პირველად მეთვრამეტე საუკუნეში რუსეთის ეკლესიის „არქიერატიკონიდან“, თუმცა „აღსარებათა“ და ლოცვათა რედაქციები ძველებურად დასტოვა, ისე, როგორც ეს გვხვდება მეჩვიდმეტე საუკუ- ნის ბერძნულს „აღლიაციის“ ექვთოლოგიონში. ჩვენს გამოცემას საფუძვლად უდევს ანტონ კა- თალიკოზის თარგმანი იმ შესწორებით „აღსა- რებათა“ ფორმულებში, რომელთაც თანამე- დროვე მომენტი მოითხოვდა.

„წესი კათალიკოზად კურთხევისა“ პირვე- ლად მეთე საუკუნის ექვთოლოგიონში (საეკლ. მუხ. № 86) გვხვდება. მისს მეორე რედაქციას გელათის ერთ-ერთი ხელნაწერი შეიცავს; ჩვენს გამოცემაში შეერთებულია ეს ორი რედაქცია, ვინაიდან ისინი ერთი მეორეს ავსებენ და ას- რულებენ. რაც შეეხება ცერემონიალურ ნა- წილს და „საყდრად აღყვანებას“, ეს აქ წარ- მოდგენილია თანახმად საბერძნეთის ეკლესიის პრაქტიკისა, ვინაიდან ჩვენს ძველს სალიტურ- ლიკო მწერლობაში ამის შესახებ გარკვეული



ცნობები არ შენახულა.

დასასრულ ბოდიშს ვიხდით, რომ სიჩქარისა და არქაიულ ორთოგრაფიის გამომხატველ ასოთა უქონლობის გამო გარეგნული ფორმა გამოცემისა მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. იმედია, როდესაც ჩვენი განახლებული ეკლესია ძალას მოიკრებს, ის შესძლებს გამოუშვას მეორე გამოცემა, სადაც დეფექტებს ადგილი არ ექნება.

დღგ. კოწ. კე'ელიძე.

10, IX, 917.

ქ. თბილისი.

# რუსთა საეკლესიო კრება მოსკოვში.

## I.

მას შემდეგ, რაც პეტრე დიდმა 1721 წ. ერთი კალმის გასმით ამოჰგლიჯა რუსეთის ეკლესიას მისი უმთავრესი მაცოცხლებელი ძარღვი -- წარმომადგენლობითი წესი ეკლესიის მართვა-გამგეობისა და ანტიკანონიურად მოწყობილ „უწმიდეს და უმმართველეს“ სინოდს მიანდო ეკლესიის ბედ-იღბალი, ამაოდ ოცნებობდა რუსეთის მართლმადიდებელთა მორწმუნე ნაწილი, ერთხელ მაინც წყალობას მოიღებდნენ სინოდი, შეგვკრებს და ორიოდ სიტყვას ვვათქმევინებს ჩვენი სარწმუნოებრივი კავშირის ქირ-ვარამხეო.

სინოდის გავლენიანი მოხელენი და უმაღლესი სამღვდელთა ყოველწარ ხრიკებს ხმარობდნენ, რომ ხალხის წარმომადგენლობას ფრთა არ გაეშალა და საეკლესიო კრება არ შემდგარიყო.

სწერდნენ ეკლესიის ყოფა-ცხოვრების თიქოს გაუმჯობესობის პროექტებს, ნელნელა აღიდებდნენ ჯამაგირებს და ამოკლებდნენ ბენსიის დამსახურების ვადას, თანდათან ზღუდავდნენ სინიდისის თავისუფლებას, აარსებდნენ და ამუსაიფებდნენ ვითომდა მოახლოვებულ საეკლესიო კრების წინასწარ სათათბიროებს და

\*) დეპუტათა სააგენტო ძლიერ მოკლე ცნობებს გვაწვდის მსკოვის კრების შესახებ. ერთადერთა გასული, რომელიც შედარებით დაწვრილებით ეხება კრების დადგენალებათა, — «Всероссійскій Ц. О. Вѣстникъ» — ტრანსმორტის მფუფეობლისა გამო გვან მადის თბილისში. ამიტომ წინდაწინ ბოდიშს ვიხდით მკითხველის წინაშე, რომ ჩვენი დროგამოშვებითა მიმოსილვა მსკოვის კრებისა ხსენებულ გასულითა მიღების დროსგან დამოკიდებულა და, მასხანდაჲ, ხანდახან შეკვიანებულა იქნება.

სხვანი. დეკორაცია მშვენიერად იყო გარეგნულად ბევრი რამ ეკლესიისა და სამწყსოს საკეთილდღეოდ კეთდებოდა, ნამდვილად კი სულყველადფერი ბიუროკრატის გავლენის ვადიდება-ვაფართოვებას და ამა ქვეყნის ძლიერთა გულის მოგებას ემსახურებოდა.


მაგრამ იგრილა უშავალითო რევილიუციის ქარიშხალმა და ვითომ შეუძლებელი აღვილად შესაძლებელი გახდა. რაზედაც ორასი წლის განმავლობაში თათბირიც ვერ მოასწარეს, შიშის კარნახით, რადაცა ხუთიოდეთვის განმავლობაში მოისაზრეს და დაადგინეს კიდევაც.

და ამა წლის 15 მარტი-მობისთვის საეკლესიო კრება დიდის ზემით გაიხსნა ქალაქ მოსკოვში.

მიუხედავად იმისა, რომ კრება უკვე სამი კვირაა გრძელდება, ჩვენ ჯერ არ ვიცით, რამიმართულებისა იქნება ისა. ეს კი ცხადია, რომ არ ეჩქარებათ და საშვალედაც ექნებათ არხეინად ისჯელონ. მკითხველებმა იციან, რომ რომ როცა ჩვენ, ქართველებმა, ჩვენი უბინადრო პატრიარქ-კათალიკოსის მოსაყდრე გაქირვებისა გამო ჩვენსავე საკუთარ სახლში დავაბინავეთ, მოსკოვის კრებამ ექსარხოსად ყოფილის პლატონის განცხადების შემდეგ დიდი განგაში ასტება და მთავრობის წარმომადგენელმა ბ. კოტლიარევსკიმ ძლივს დაამშვიდა იგი იმ დაპირებით, რომ მთავრობა „სასტიკ ზომებს“ მიიღებს ჩვენს წინააღმდეგ. და ამავე დროს იმავე კრებაზე რუსეთის მოწინავე პირმა მ. ვ. რომიანკომ გაკვირვებულმა იკითხა, ნუ თუ მთავრობამ თავის თავზე არ მიიღო მთელი ჩვენი კრების შესანახი ხარჯიო, და დაშოშმინდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც სარწმუნოებათა მინისტრმა ა. ვ. კარტაშოვმა საჯაროდ აღიარა პროფესიონალური საიდუმლო: მთავრობა ძლიერ შეღავათიან პარობებში სესხად გვაძლევს ორ მილიონ მანეთსა და ამიტომ კრების სამი თვით არსებობა უზრუნველყოფილიაო. ხომ დიდებული ნიშუშია ერთა „თვითგამორკვევის“ და „თანასწორობისა!“

ჩვენთვის, ქართველებისთვის, არა ნაკლებ საგულისხმოა, რანაირად მოექცა მოსკოვის კრება ჩვენს ექსარხოსად ყოფილს პლატონსა. მიტროპოლიტი პლატონი კრების თავმჯდომარის თანამდებობაზე მხოლოდ 22 და თავჯდომარის ამხანაგობაზე 99 წევრმა დაასახელა. კრებაზე ჯერჯერობით 440 პირია, ამავე რიცხვში 4 მიტროპოლიტი, 21 მთავარეპისკოპოსი და 46 ეპისკოპოსი.

არჩეულ იქმნენ თავმჯდომარედ მოსკოვის მიტროპოლიტი ტიხონი, საპატია თავმჯდო-



მარედ კიევის მიტროპოლიტი ვლადიმერი, თავმჯდომარის ამხანაგებად ნოვგოროდის მთავარ-ეპისკოპოსი არსენი, ყოფილი ხარკოვის მთავარ-ეპისკოპოსი ანტონი და პროტოპრესვიტერი ლიუბიმოვი და შაველსკი. მდივად სახ. სათათბიროს წევრი შეინი და მის თანაშემწეებად სინოდის კანცელარიის გამგე გურიევი და ჩვენი „კარგი ნაცნობი“ ბენეშევიჩი.

(გაგრძელება იქნება)

ახელა.

## ნ. ღურნოვოს ვაჩილი

ტფილელ მიტროპოლიტის ღეონიდეკს სსხელობაზე, რამედიც მიიღო სრულიად საქართველდს საკეკესიო კრებაშ 13 ენკენისთეკს.

ღირსად პატივცემულო, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეე და მწყემსმთავარო!

დიდათა ვწუხვარ, რომ დღევანდელმა გარემოებამ ვერ შემაძღებინა დავსწრებოდი იმ დღესასწაულს, რაზედაც 40 წელია ვოცნებობდი და 8 ენკენისთეკს კი უნდა აღსრულდეს. ივერიის ჯვაროსანი და სამოციქულო ეკლესია ამიერითგან გვერდში ამოუდგება თავის სულიერ თანამოძმე ბერძნის ეკლესიებს, მასავით წამებულებს. თუ ჯანმრთელობამ ნება მომცა ამ მოხუცებაში მაინც შევეცდები ამოვიდე საქართველოში, ვინაიდან დღემდე მართლმადიდებელთა ქვეყნებში მხოლოდ საქართველოა დამრჩა უნახავი, მაშინ როდესაც მრავალგზის მომივლია ოთხივე საპატრიარქო, კვიპროსი, რუმინეთი, სერბეთი და სხვა მხარეები, განსაკუთრებით-კი მშვენიერი საბერძნეთი.

აღდგენა ავტოკეფალიისა, რომელიც ანტიეკლესიურმა სინოდმა დაარღვია, საქართველოს ეკლესიას შეაძღებინებს ასი წლის კრილობა გაიმრთელოს და ხელახლა განანათლოს სამწყსო თვისი ქრისტეს ჭეშმარიტი სარწმუნოებით. საქართველო მეცხრამეტე საუკუნემდე ხომ ყველაზე გულმოდგინე ქრისტეს-მოსავი ქვეყანა იყო.

ეხლა საქართველოსა, რომელმაც შემოიკარბა თავისი შვილები, ჰმართებს აღადგინოს პოლიტიკური ავტონომიაც ქართველ ეროვნების საზღვრებში, თანახმად 1783 წლის ხელშეკრულებისა. ქართველებმა არ უნდა დაივიწყონ რომ მათი ქვეყანა ათვისტური კი არაა, არამედ მართლმადიდებელი, რომ მათი წინაპარნი თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში ჰღვრიდენ სისხლსა სარწმუნოებისა და თავისუფლებისათვის და რომ დღესაც 200.000 ქართველი ჰღვრის რა სისხლსა რუსეთისათვის, ჰღვრის თავის სამშობლოსათვისაც, და რუსეთის ერთა

შორის ყველაზე მეტი უფლება აქვს მიიღოს სრული თავისუფლება, ვინაიდან საქართველო დამორჩილებული კი არაა, არამედ ნებსით შეერთებული. დღეს საერთო თავისუფლების დროს, როდესაც პოლონეთის დამოუკიდებლობა აღიარეს, საქართველოსაც უფლება აქვს მოაწყოს თავისი სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობა ისე, როგორც ამას უმჯობესად და თავის ქვეყნის სასარგებლოდ დაინახავს. დროა ქართველი ხალხი ეღირსოს მშვიდობას, მყუდროებას და კეთილდღეობას. საკუთრება ხელ შეუხებელი უნდა იყოს, ვინაითგან სასურველი შრომით მომავალში მშრომელი იგემებს ბედნიერებას. საქართველო უნდა განთავისუფლდეს უცხოელ ექსპლოატატორებისაგან, ამასთანავე არა-მართლმადიდებელთაგან. არც ერთ ხალხს, რაც გინდა დიდი იყოს იგი არა აქვს უფლება შეახოს ხელი საქართველოს ისტორიულ მიწა-წყალს, როგორც არც ერთს ეკლესიას უფლება არა აქვს თავისი საკუთრებეფლენი აავგოს საქართველოს ეკლესიის საზღვრებში.

გთხოვთ ღირსად პატივცემულო მეუფეე, გადასცეთ უწმიდეს პატრიარქს და ყველა ქართველ იერარქებს ჩემი გულითადი და წრფელი მოლოცვა საქართველოს ჯვაროსანი ეკლესიის უფლებათა აღდგენის გამო. ეს დღე ერთი უბედნიერესი დღეთაგანია ჩემს ცხოვრებაში, რომელსაც აგერ ორმოცი წელია მოველოდი. ვულოცავ განთავისუფლებას ეკლესიის მსახურთა და ერს. დაე უწყოდენ, რომ ქრისტეს ჯვარს მონობისაკენ კი არ მიჰყავს, არამედ თავისუფლებისაკენ!

მოსავი თქვენი ლოცვა-კურთხევისა და თქვენი ერთგული **ნ. ღურნოვო.**

8 სექტემბერი.

### სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებაზე.

სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების უკანასკნელ სხდომაზე, მიმდინარე წლის 17 სექტემბერს არჩეულ იქნენ საკათოლიკოზო საბჭოს და საკათოლიკოზო სასამართლოს წევრნი. საკათოლიკოზო საბჭოში შევიდნენ: დეკ. კ. კეკელიძე, დეკ. კ. ცინცაძე, დეკ. ნ. თალაქვაძე, მ. მაჩაბელი, გ. გვაზავა, პ. გოთუა, თ. სახოკია, იპ. ვართაგავა, რ. ივანიცკი (ინგილო), პ. ინგოროყვა, ქ. კაპანაძე და პ. ბარათაშვილი. საკათოლიკოზო სასამართლოში: დეკ. ა. თოთიბაძე, მღ. ვ. კარბელაშვილი, მღ. ქ. ციციშვილი, აღ. ყანჩელი, გ. ჟორდანიია და ი. ბერიაშვილი.

რედაქტორი: სარედაქც. კოლეგია.